განმარტებითი ბარათი
კანონპროექტზე "სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია "საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს ახალი კანონის მიღებასთან დაკავშირებით „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების და დამატებების შეტანის აუცილებლობა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, "საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს ახალი კანონი ადგენს როგორც პალატის ხელმძღვანელობის, ისე სტრუქტურული ერთეულების ხელმძღანელობისა და შემოწმებისა და გარე აუდიტის უფლებამოსილების მქონე მუშაკების მყარ სოციალურ გარანტიებს, რაც ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საქმიანობის განხორციელებაში მათი დამოუკიდებლობის, ობიექტურობის და მიუკერძოებლობის საკანონმდებლო დონეზე უზრუნველსაყოფად და მოსაწესრიგებლად. აღნიშნული ფართოდაა დანერგილი საერთაშორისო პრაქტიკაში.

წარმოდგენილ თანმდევ კანონპროექტში შესაბამისი ცვლილებების და დამატებების შეტანა მიზნად ისახავს კონტროლის პალატის დასახელებულ მუშაკთათვის სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების წარმოშობის, მისი ოდენობის გაანგარიშების წესისა და პირობების დადგენას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი განსაზღვრავს საქართველოს კონტროლის პალატის სისტემიდან " საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით განთავისუფლებული და შეზღუდული სტსტუსის დადგენის გამო ამ სისტემის მუშაკებისათვის, აგეთვე კონტროლის პალატის მუშაკის გარდაცვალების გამო მისი ოჯახის წევრებისათვის კომპენსაციების დანიშვნის, მისი ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესებს.

ბ)კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა)კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ 2008 წელს ამ კანონპროექტით განსაზღვრულ კონტროლის პალატის მუშაკთა მონაცემებით კომპენსაციის მიღების უფლება არ წარმოეშვება არც ერთ მოქმედ მუშაკს, ამდენად, კანონპროექტის 2008 წლის 1

იანვრიდან ამოქმედების შემთხვევაში სახელმწიფო კომპენსაციების გასაცემად 2008 წლის წლიური ბიუჯეტიდან ასიგნებების გამოყოფის საჭიროება არ წარმოიქმნება.

გ.ბ)კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

გ.გ)კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

გ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
კანონპროექტის მიღება არ იწვევს ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოშობას.

გ.ე)კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:
კანონპროექტის მიღება გამოიწვევს ფინანსური და სოციალური პირობების გაუმჯობესებას იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება .

გ.ვ)კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი(პრინციპები):
კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ)კანონპროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო. არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
კანონპროექტის შემუშავებისას მონაწილეობდნენ მსოფლიო ბანკის ექსპერტები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
არ არის.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:
საქართველოს კონტროლის პალატა.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი
საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.